

თსუ



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი



თსუ მსოფლიოს
საუკეთესო
უნივერსიტეტების
1.5%-ში შედის

თსუ – N1 არჩევანი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი N1 უნივერსიტეტია კავკასიასა და რეგიონში:

- **არის მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტების 1.5%-ში** /U.S. News&World Report 2021/;
- **ჰყავს 200-ზე მეტი პარტნიორი** უნივერსიტეტი და კვლევითი ცენტრი მსოფლიოს 56 ქვეყანაში;
- **ერაზმუს+ საერთაშორისო მობილობის ფარგლებში 2015-2020 წწ.** – 361 დაფინანსებული პროექტი ევროპის 29 ქვეყნის 149 უნივერსიტეტთან; 2020-2022 წწ. – 141 საპროექტო განაცხადი ერაზმუს+ საერთაშორისო მობილობის ფარგლებში;
- **უნივერსიტეტში მოქმედებს 24 უცხოენოვანი პროგრამა** — საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო და ერთსაფეხურიანი, მათ შორის, საერთაშორისო აკრედიტაციის და ABET აკრედიტებული პროგრამები;
- **27000 სტუდენტი** (მათ შორის უცხოელი სტუდენტები 50 ქვეყნიდან) სწავლობს 240-მდე საგანმანათლებლო პროგრამაზე;
- **თსუ ყველაზე მოთხოვნილი უნივერსიტეტია საქართველოში** — აბიტურიენტთა 1/3-თვის ის პირველი არჩევანია;
- **თსუ ბიბლიოთეკებში განთავსებულია 8 მილიონი წიგნი და 22 მილიონზე მეტი გამოგონება/პატენტი** 60 ქვეყნიდან, სტუდენტებსა და პროფესორებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებსა და რესურსებზე;

- **სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა ჩაერთონ თსუ სამეცნიერო კვლევებში** — ყოველწლიურად ტარდება 200-ზე მეტი სამეცნიერო პროექტი, ერთობლივ კვლევებში მონაწილეობს 3 000-მდე უცხოელი მეცნიერი;
- **თანამედროვე სასწავლო სივრცეები** – 16 კვლევითი ინსტიტუტი, 85-მდე სასწავლო ლაბორატორია;
- **საუნივერსიტეტო დაფინანსება სტუდენტების სწავლის გადასახადისთვის – 2021 წელს 700 ათასი ლარია გამოყოფილი; 2020 წელს 600-ზე მეტ სტუდენტს დაუფინანსდა სწავლა.**
- **თსუ იძლევა აქტიური სტუდენტური, კულტურული და სპორტული ცხოვრების შესაძლებლობას** — 2017-2020 წლებში გამოიყო 2.6 მილიონი ლარი სტუდენტური პროექტების დასაფინანსებლად; ყოველწლიურად ტარდება 350-ზე მეტი სტუდენტური ღონისძიება.
- **სტუდენტებს ემსახურება თანამედროვე საერთო საცხოვრებელი, განახლებული კაფეტერიები;**
- **თსუ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი სხვადასხვა კვალიფიკაციის მიხედვით 70-100%-ია.**



თსუ მისია

- **ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, კულტურული და სოციალ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;**
- **ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება;**

ხედვა

- **საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზებული პროგრამები;**
- **კვლევების გამრდილი რაოდენობა;**
- **პროცესების ინტერნაციონალიზაცია;**

ღირებულებები

- **თსუ იზიარებს ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ იდეალებს;**

თსუ დღეს

- **თსუ-ში დღეს სწავლობს 27 000-მდე სტუდენტი (60,7% ქალი, 39,3 % კაცი);**
- **2020 წლიდან სტუდენტთა ზღვრული ოდენობა 5000-ით გაიზარდა;**
- **2020 წელს ყოველმა მესამე აბიტურიენტმა კვლავ თსუ აირჩია;**
- **2019 წელს ჩაირიცხა 7081 სტუდენტი, მობილობით — 672;**
- **აქ სწავლობენ სტუდენტები მსოფლიოს 50 ქვეყნიდან;**
- **თსუ თანამშრომლები: აკადემიური — 734; სამეცნიერო — 909;**
- **მონწეული ლექტორი და მასწავლებელი — 1386;**
- **ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალი — 1229;**




ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად უფრო მეტი სტუდენტი უბარებს



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა
2020 წელს **5082** კირველკურსალი მიიღო

- მათგან **48%-ზე** მეტს სახელმწიფო დაფინანსება აქვს მოპოვებული
- 2020 წელს ყოველი მესამე გრანდოტოსანი სტუდენტი **თსუ-ელია**



თსუ – მსოფლიო რუკაზე



- **ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთდერთი უნივერსიტეტია საქართველოდან და რეგიონიდან, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 1,5%-ში შედის.** U.S.News&World Report-ის 2020 წლის რანჟირებაში (Best Global University Ranking) თსუ 322-ე ადგილს იკავებს.
- **ერთდერთი უნივერსიტეტია სამხრეთ კავკასიაში,** რომელიც უკვე მეხუთე წელი თამისის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში (Times Higher Education World University Rankings) ხვდება. 2021 წლის რანჟირებაში თსუ 1001+ პოზიციას იკავებს.
- **თსუ QS World University Rankings 2021 წლის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში მოხვდა,** QS EECA University Rankings 2020 წლის რეგიონულ რანჟირებაში თსუ 86-ე ადგილს იკავებს.
- **თსუ პირველია შემდეგი მანქანებლებითაც:** Round University Ranking 2020 (N 612); Shanghai Academic Ranking of the World Universities (თსუ ფიზიკის მიმართულება 2020 წელს N151-200 პოზიციას იკავებს);





უნივერსიტეტის მართვა

უნივერსიტეტის მთავარი მმართველობითი ორგანო არის 38 წევრიანი აკადემიური საბჭო. აკადემიურ საბჭოში თითოეული ფაკულტეტიდან აირჩევა სამი წარმომადგენელი. თითოეული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულიდან – თითო წარმომადგენელი.

წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევა ხდება 4 წლის ვადით, საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. სტუდენტები საბჭოს სრული შემადგენლობის ერთ მესამედს შეადგენენ.

რექტორი უნივერსიტეტის უმაღლესი აკადემიური თანამდებობის პირია, არის აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე.

კანცლერი (ადმინისტრაციის ხელმძღვანელი) არის უნივერსიტეტის უმაღლესი ადმინისტრაციული მმართველი ფინანსური, მატერიალური და ადმინისტრაციული რესურსების სფეროში; წარმოადგენს უნივერსიტეტს საფინანსო-ეკონომიკურ ურთიერთობებში.

7 ფაკულტეტიდან თითოეულს მართავს არჩეული ფაკულტეტის საბჭო, დეკანის ხელმძღვანელობით.

აკადემიური თავისუფლება და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომია უზრუნველყოფილია კონსტიტუციით

ახალი საკონსტიტუციო მუხლი 2018 წლის 16 დეკემბერს შევიდა ძალაში; 27-ე მუხლში ცვლილება თსუ-ს ინიციატივით შევიდა, რომლითაც უნივერსიტეტების ავტონომია და აკადემიური თავისუფლება უზრუნველყოფილი; ცვლილება შევიდა კანონში „მაუწყებლობის შესახებ“, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტებს საუნივერსიტეტო მაუწყებლობის უფლებას აძლევს; მიმდინარეობს მოლაპარაკება სახელმწიფო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან სტუდენტთა შრომითი უფლებების დასაცავად;

ხარისხის უზრუნველყოფა

ავტორიზაცია 2024 წლამდე;

- უნივერსიტეტის ინტეგრირება უმაღლესი განათლების ევროპულ სივრცეში;
- უნივერსიტეტის ინსტიტუციური ეფექტიანობის და განვითარების ხელშეწყობა;
- პროგრამებში საერთაშორისო და ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება;
- სწავლა-სწავლების ახალ მოთხოვნებთან შესაბამისობა, სწავლასა და კვლევაში თანამედროვე მიდგომების დანერგვა;
- ორმაგი, ერთობლივი და საერთაშორისოდ აკრედიტებული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა;

სწავლა და კვლევა უნივერსიტეტში 7 ფაკულტეტსა და 16 საგანმანათლებლო-კვალივით ინსტიტუტში მიმდინარეობს

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტი – 3595

აკადემიური პერსონალი – 147

საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო – 13, მათ შორის

2 ინგლისურენოვანი,

1 ქართულ – ფრანგული;

სამაგისტრო – 18, მათ შორის

1 ინგლისურენოვანი;

სადოქტორო – 11, მათ შორის

1 ინგლისურენოვანი.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტი – 2573

აკადემიური პერსონალი – 62

მონვეული პერსონალი – 134

საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო – 8,

სამაგისტრო – 15, მათ შორის

2 ინგლისურენოვანი

სადოქტორო – 11

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტი – 1964

აკადემიური პერსონალი – 41

მონვეული პერსონალი – 147

საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო – 4,

სამაგისტრო – 6,

სადოქტორო – 7

მედიცინის ფაკულტეტი

სტუდენტი – 1564

აკადემიური პერსონალი – 104

მონვეული პერსონალი – 127

საგანმანათლებლო პროგრამები:

ერთსაფეხურიანი – 3, მათ შორის

1 ინგლისურენოვანი

სამაგისტრო – 1,

სადოქტორო – 3

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სტუდენტი – 6941

აკადემიური პერსონალი – 97

საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო – 4, მათ შორის

1 ინგლისურენოვანი

სამაგისტრო – 5, მათ შორის

1 ინგლისურენოვანი,

1 ქართულ – ფრანგული;

სადოქტორო – 3

კუპანთარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სტუდენტი – 4402

აკადემიური პერსონალი – 188

მონვეული პერსონალი – 269

საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო – 33, მათ შორის

2 რუსულენოვანი

სამაგისტრო – 33, მათ შორის

2 რუსულენოვანი

სადოქტორო – 10, მათ შორის

1 ქართულ-ფრანგული

იურიდიული ფაკულტეტი

სტუდენტი – 4850

აკადემიური პერსონალი – 79

მონვეული პერსონალი – 104

საგანმანათლებლო პროგრამები:

საბაკალავრო – 2,

სამაგისტრო – 5, მათ შორის


2 ინგლისურენოვანი;

სადოქტორო – 2, მათ შორის

1 ინგლისურენოვანი;



უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები



თსუ 2021 წელს ბათავაზობთ

220 პროგრამას, მათ შორის:

67 საბაკალავრო პროგრამა

3 ერთსაფეხურიანი პროგრამა

99 სამაგისტრო პროგრამა

49 სადოქტორო პროგრამა

1 მასწავლებელთა მომზადების
ინტეგრირებული პროგრამა

1 მასწავლებელთა მომზადების
პროგრამა

1 ქართულ ენაში მომზადების
პროგრამა



თსუ სტუდენტებს საერთაშორისოდ აკრედიტებულ პროგრამებს სთავაზობს:

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია — 50 სტუდენტი;

კომპიუტერული მეცნიერება — 130 სტუდენტი;

თსუ-ს საბაკალავრო პროგრამა ქიმიაში (პირველი პროგრამა საქართველოში, რომელიც ამერიკის ქიმიური საზოგადოების მიერ იქნება სერტიფიცირებული) — 30 სტუდენტი;
 საქართველო მსოფლიოში 36-ე ქვეყანაა, სადაც **ABET-ის აკრედიტირებული პროგრამები** მოქმედებს;

საქართველო 24-ე ქვეყანაა, სადაც **ACS-ის წარმომადგენლობა** გაიხსნა.



ორგანიზაციების მიღების შესაძლებლობას იძლევა შემდეგი პროგრამები:

- სამაგისტრო პროგრამები: • კიოლნის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა LL. M. Zu Koln (გერმანულენოვანი) • სამაგისტრო პროგრამა „ტურიზმი“ Université Lyon 2.
- სადოქტორო პროგრამები — საერთაშორისო პროგრამა მათემატიკაში (ინგლისურენოვანი) University of Göttingen — ევროპული ლიტერატურა (ქართულ-ფრანგული) – Università di Bologna
- ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტთან თანამშრომლობით 10 წელია თსუ-ში „საჯარო მმართველობის“ პროგრამა ხორციელდება.
- ჰარვარდის სამართლის სკოლა და თსუ იურიდიული ფაკულტეტი წარმატებით ახორციელებენ ერთობლივ სასერტიფიკატო პროგრამას.
- Volkswagen Foundation-ის დაფინანსებით და ორ გერმანულ უნივერსიტეტთან თანამშრომლობით სადოქტორო პროგრამაში „ფიზიკა“ ინტეგრირდა ინგლისურენოვანი მოდული – Universität Bonn Universität Siegen.





სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროგრამები თსუ-ში SDSU-TSU

- 2015 წლიდან თსუ-ში მოქმედებს SDSU საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე /ABET, CSA, WASC/ საბაკალავრო პროგრამები STEM დარგებში და გაცემა ამერიკული დიპლომით;
- პროგრამებმა ახლახანს მიიღეს ABET ექსპერტების უმაღლესი შეფასება;
- SDSU თანამშრომლობით თსუ-ში განახლდა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღიჭურვა ლაბორატორიები და აუდიტორიები;
- SDSU პროგრამებზე საქართველოში სტუდენტთა 80% თსუ-ში სწავლობს;
- სტუდენტების 34% ქალია.


ISET სამაგისტრო პროგრამა სტუდენტთა მე-13 ნაკადმა დაასრულა წარმატებით

- კურსდამთავრებულთა 98% დასაქმებულია პროფესიით. მათი საშუალო ხელფასი 4-ჯერ აღემატება სტატისტიკის სამსახურის საშუალო შემოსავლის მონაცემებს
- მაღალი მოთხოვნის შედეგად 2017 წლიდან სკოლა აბიტურიენტებს საბაკალავრო პროგრამასაც სთავაზობს
- ISET-ის ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაზე ყოველწლიურად ყველაზე მაღალქულიანი სტუდენტები ირიცხებიან
- სკოლაში 11 ქვეყნის წარმომადგენელი სწავლობს;

ISET

International School of Economics at TSU
Policy Institute

ISET საბაკალავრო პროგრამაზე მზარდი მოთხოვნა





თსუ „საჯარო მმართველობის“ პროგრამა

პროგრამა ხორციელდება თსუ და გერმანიის ქ. შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტის თანამშრომლობით;

აქვს საერთაშორისო აკრედიტაცია და გასცემს შესაბამის დიპლომს;

100-მდე სტუდენტმა გაიარა სასწავლო პრაქტიკა ევროპის ქვეყნების სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში;




თსუ საერთაშორისო ურთიერთობა

- 2020 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ევროპის 29 ქვეყნის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით 141 საგრანტო პროექტი მოამზადა, რომელთა შორის 102 პროექტი დაფინანსდა ევროპის 29 ქვეყანაში, რაც გასულ წლებში დაფინანსებულ პროექტებთან შედარებით (2019 წ - 66 პროექტი, 2018 წ - 62 პროექტი), უმაღლესი მაჩვენებელია.
- 2021-2023 წლებში ICM-ის დაფინანსებული პროექტებით თსუ სტუდენტები ისარგებლებენ აკადემიური მობილობით ევროპის უნივერსიტეტებში, ხოლო პერსონალი კი ნაიკითხავს ლექციებს და აიმაღლებს კვალიფიკაციას. დაფინანსება ასევე გულისხმობს პროექტებში მონაწილე ევროპის უნივერსიტეტებიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მიღებას.
- 2021-2023 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ERASMUS+ პროექტის ფარგლებში ითანამშრომლებს სამ ახალ ქვეყანასთან: მაკედონია, სერბეთი, ხორვატია.
- სულ, 2015 წლიდან დღემდე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დაფინანსება მიიღო 361 პროექტის ფარგლებში ევროპის 29 ქვეყნის 149 უნივერსიტეტში.
- ამიაში თსუ თანამშრომლობს 10 ქვეყნის 26 უნივერსიტეტთან.
- თსუ-ს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისგან შემდეგარი გუნდი ყოველწლიურად იღებს მონაწილეობას Asia Science Camp-ში, რომელიც ამის სხვადასხვა ქვეყანაში (იაპონია, სინგაპური, ისრაელი, ტაილანდი, მალაიზია, ინდონეზია და ა.შ.) იმართება.



კვლევა თსუ-ში

- 2020 წლის განმავლობაში თსუ-ში ხორციელდებოდა 200-ზე მეტი ადგილობრივი/საერთაშორისო პროექტი შემდეგი დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით: შრესფ, EC (H2020, Erasmus+), US (Embassy, NIH, The East-West Management Institute, Naval Research Office, USAID, UNDP, UNICEF, US Department of State), United Kingdom Research and Innovation/Global Challenges Research Fund - UKRI/GCRF; Austrian Development Agency ... და სხვა;
- 2020 წელს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტის კვლევების ხელშეწყობი კონკურსები არ გამოცხადებულა; 2019 წლის მონაცემებით კი:
- შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიერო ფონდის კონკურსებში 2019 წელს თსუ-ს მონაწილეობით წარდგენილმა 80-მა პროექტმა გაიმარჯვა;
- რუსთაველის ფონდის დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების საგრანტო კონკურსში (PHDF / PhD Scholarships 2019 გამარჯვებული პროექტების 52% (29) თსუ დოქტორანტების, ფუნდამენტური კვლევების სახელმწიფო კონკურსში გამარჯვებული პროექტების 29% (18), ახალგაზრდა მკვლევარების დაფინანსებული პროექტების 37% თსუ დოქტორანტებისა და მკვლევარების ავტორობითაა;
- გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2019 წლის კონკურსში გამარჯვებული 4 პროექტიდან ერთი თსუ-სია;
- 2020 წელს ელსევიერის Scopus-ის ბაზის მონაცემებით თსუ-ის თანამშრომლების ავტორობით გამოქვეყნდა 502 პუბლიკაცია...
- 2020 წელს თსუ-ში დაცულია 65 სადისერტაციო ნაშრომი.




თსუ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები

- მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;
- ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ს/კ ინსტიტუტი;
- რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი;
- ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი;
- ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი;
- ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი;
- ელენე ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი;
- შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი;
- პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი;
- კაკაბაძის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი;
- ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი;
- მიხეილ ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი;
- ანდრია რამაძის მათემატიკის ინსტიტუტი;
- თინათინ წერეთლის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტი;
- პაატა გუგუშვილის ეკონომიკის ინსტიტუტი;
- არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი;

საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობა

- თსუ მეცნიერები ჩართული არიან მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, მათ შორისაა: ატომური ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის CERN და ATLAS ექსპერიმენტები, იულიხის კვლევითი ცენტრის (გერმანია) COSY accelerator; იაპონიის პროტონების ამაჩქარებელთა კომპლექსზე (J-PARC) მიმდინარე JEDI და Comet ექსპერიმენტები, ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე KM3Net ექსპერიმენტი, პროექტი FAIR (Facility for Antiproton and Ion Research) (გერმანია);
- ერთობლივი პუბლიკაციები გამოქვეყნებულია 150-ზე მეტ საერთაშორისო პარტნიორთან ერთად (Scopus);
- ერთობლივი კვლევებში ჩართულია 3000-მდე უცხოელი მეცნიერი;



საქართველო პირველი ქვეყანაა ევროკავშირის არაწევრი ქვეყნებიდან, სადაც ევროპული აკადემიის (Academia Europaea) რეგიონული ცენტრი გაიხსნა. ცენტრი თსუ ე. ანდრონიკაშვილის სახ. ფიზიკის ინსტიტუტში ფუნქციონირებს.

„ჩვენ დიდ იმედებს გამოვარებთ საქართველოზე და დარწმუნებული ვარ, საქართველო მნიშვნელოვნად გაამდიდრებს ევროპულ მეცნიერებას“.

„აკადემია ევროპას“ მმართველი საბჭოს წევრი, ევროპული კვლევების საბჭოს (ERC) ვიცე-პრეზიდენტი ევა კონდოროსი




ქართული ენის სენდრები ევროპულ უნივერსიტეტებში

2012 წელს ლაიდენის უნივერსიტეტში, თსუ-სთან თანამშრომლობით ქართული ენისა და კულტურის ცენტრი გაიხსნა;

ასევე 6 ევროპულ უნივერსიტეტში ქართული ენის ცენტრების გახსნა იგეგმება:

- ფრიდრიხ შილერის სახელობის ენის უნივერსიტეტი, გერმანია; Friedrich Schiller University Jena, Germany;
- ბრემენის უნივერსიტეტი, გერმანია / University of Bremen, Germany;
- კა'ფოსკარის უნივერსიტეტი, იტალია / Ca'Foscari University of Venice, Italy;
- ეტვოშ ლორანდის უნივერსიტეტი, უნგრეთი / Eotvos Lorand University, Hungary;
- ტარტუს უნივერსიტეტი, ესტონეთი / University of Tartu, Estonia;
- ვილნიუსის უნივერსიტეტი, ლიეტუვა / Vilnius University, Lithuania;



თსუ სამეცნიერო ლაბორატორიები და მოდერნიზებული სასწავლო სივრცეები

თსუ მეცნიერებსა და სტუდენტებს ემსახურება თანამედროვე სასწავლო სივრცეები – 16 კვლევითი ინსტიტუტი, 85-მდე სასწავლო ლაბორატორია. მათ შორის: ფაბლაბი, SMART|Lab, SMART|AtmoSim-Lab, Bloomberg ლაბორატორია, სან დიეგოს უნივერსიტეტის მიერ მოდერნიზებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები; მაღალი სიზუსტის თანამედროვე ბირთვულ მაგნიტურ-რეზონანსული (ბმრ) სპექტომეტრი (400 MHz); თსუ ცოდნის გადაცემისა და ინოვაციების ცენტრი; მულტიმედია ცენტრი, არქეოლოგიური საველე ბაზა გრაკლიან გორაზე, სახვითი ხელოვნების სტუდია და სხვა.

მოლეკულური, გენეტიკური და უჯრედული დიაგნოსტიკის სამეცნიერო სასწავლო ცენტრი „დიაგნოსტიკა“

თსუ-ში თანამედროვე ბიო-სამედიცინო ტექნოლოგიებით და მოწინავე ინტელექტუალური ექსპერტიზით აღჭურვილი სამეცნიერო-სასწავლო ცენტრი დაფუძნდება და გააძლიერებს თსუ-ს საგანმანათლებლო და კვლევით პოტენციალს და იქნება ერთადერთი ამ პროფილის კვლევითი ცენტრი რეგიონში. პროექტის ავტორია ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) პროფესორი, თსუ ლექტორი, ზაალ კოკაია.

ბიომედიცინის ლაბორატორია

2020 წელს იულიის კვლევითი ცენტრთან (Forschungszentrum Jülich) თანაშრომლობით დაიწყება მუშაობა ბიომედიცინის ლაბორატორიის დაფუძნების თაობაზე, რომელიც 2021 წელს დაიწყებს ფუნქციონირებას.

ლაბორატორიული სამუშაოები - სახლში

კოვიდ-19-ს პანდემიის დროს დისტანციური სწავლების ხარისხის გასაზრდელად თსუ მუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებთა ფაკულტეტის ელექტრონი და ელექტრონული ინჟინერიის მიმართულების სტუდენტებისთვის უნივერსიტეტმა ლაბორატორიული ხელსაწყოების 40 ცალი ნაკრები შეიძინა.

სტუდენტები სახლში ახერხებენ მართივით წრედების, გადამრთველების აწყობას, დაკვირვებას, გაზომვას. ლექტორი ZOOM-ის გამოყენებით დისტანციურად ატარებს ლაბორატორიულ სამუშაოს, სტუდენტი კი იმეორებენ ამ ცდას.



სასწავლო რესურსები მედიცინის ფაკულტეტისთვის

მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს საშუალება აქვთ 10-ზე მეტ მაღალი სტანდარტით აღჭურვილ კლინიკაში გაიარონ პრაქტიკა. მათ შორის:

- „ქეთევან გოგილაშვილის სტომატოლოგიის ცენტრი“;
- „ალბიუსი“; შპს „დენტექსი 95“;
- შპს „აკად. ო. ლუღუშაურის სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრი“;
- შპს „სკს დენტალ ჯორჯია“.



თსუ კერიოდული სამეცნიერო გამოცემები საერთაშორისო სამეცნიერო ბაზაებში

- თსუ ა. რამზაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალი: „Georgian Mathematical Journal“ — WOS/SCOPUS;
- თსუ ა. რამზაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალი „Memoirs on Differential Equations and Mathematical Physics“ — WOS/SCOPUS;
- თსუ ა. რამზაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ჟურნალი „Transactions of A. Razmadze Mathematical Institute“ WOS/SCOPUS / ScienceDirect;
- თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალი: „Bulletin of TICMI“ — SCOPUS;
- თსუ ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ჟურნალი: „Lecture Notes of TICMI“ — SCOPUS;
- თსუ შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ჟურნალი „Sjani“ (<http://www.sjani.ge/>) — ERICH PLUS;
- თსუ პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის ჟურნალი „Ekonomisti“ (<http://ekonomisti.tsu.ge/?leng=eng&cat=nomer>) — ERICH PLUS;
- თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“ — ERICH PLUS.





თსუ ბიბლიოთეკებში (თსუ ბიბლიოთეკა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა) დაცულია 8 მილიონი წიგნი და პერიოდული გამოცემა, 22 მილიონამდე გამოგონება/პატენტი. მკითხველს აქვს წვდომა თანამედროვე სამკითხველო დარბაზებთან, მუდმივად განახლებადი ფონდების ელექტრონულ ვერსიებზე (www.ebooks.tsu.ge).

უნივერსიტეტის პროფესორებსა და სტუდენტებს აქვთ ღია წვდომა ისეთ უმნიშვნელოვანეს ელექტრონულ ბაზებსა და რესურსებზე, როგორიცაა: Elsevier, Scopus (www.scopus.com), Sciencedirect (www.sciencedirect.com), EBSCO Econlit (<https://goo.gl/ptblg3>), (Royal Society Journal Collection (www.royalsocietypublishing.org), England Journal of Medicine (www.nejm.org), Oxford Textbook of Medicine (www.oxfordmedicine.com), BioOne (www.bioone.org), ECD-Library (www.oecd-ilibrary.org), Cambridge Journals Online (www.journals.cambridge.org), HINARI Health Access to Research Initiative – www.who.int/hinari). ეს, და მრავალი სხვა რესურსი მათ მსოფლიო სამეცნიერო სიახლეების რეალურ დროში გაცნობის და მსოფლიო წამყვან უნივერსიტეტებთან თანაბარი შესაძლებლობების ფლობის საშუალებას აძლევს.



პროექტი #ნიკომადლივი



პროექტი #ნიკომადლივი თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის კედლებისა და თსუ მალლივის ჯამში 15 სივრცის მოხატვას გულისხმობს. ექსპერიმენტულ პროექტში მხატვრებსა და ხელოვანებს საშუალება აქვთ დიდ მასშტაბებზე ხატვის გამოცდილება მიიღონ.

ნახატებს მხოლოდ ერთი რამ აქვთ საერთო - ყველა თავისუფალი თემათაა შექმნილი და მხოლოდ მხატვრის ფანტაზიით არის შემოსაზღვრული.



სტუდენტური საერთო საცხოვრებელი



2017 წლიდან თსუ-ში სტუდენტთა ახალი საცხოვრებელი ამოქმედდა. საერთო საცხოვრებელი 320 ადგილი-ანია და ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზეა განთავსებული. კომპლექსი მოიცავს 3 საცხოვრებელ კორპუსს და ადმინისტრაციულ შენობას. ასევე კაფეტერიას, საკონფერენციო ოთახს, სამედიცინო პუნქტს, ბიბლიოთეკას, კომპიუტერების ოთახს, სამრეცხაოს და სხვა დამხმარე სახის ინფრასტრუქტურას. შენობის გარეთ მოწყობილია კიბის სპორტული მოედანი, გარე ტრენაჟორები.

ასევე მიღებულია გადაწყვეტილება, რომ თბილისში, თსუ მაღლივი კორპუსის ტერიტორიაზე 3000 სტუდენტზე გათვლილი, საერთაშორისო სტანდარტის, ახალი სტუდენტური ქალაქი აშენდება.

COVID 19 შედეგად

Covid 19-ის პანდემიასთან დაკავშირებით თსუ-მ სტუდენტებისთვის 2020-21 წლების საშემოდგომო და გაზაფხულის სემესტრებში სპეციალური საშეღავათო პირობები დაადგინა.

სტუდენტური საერთო საცხოვრებლის გადასახადისგან გათავისუფლდნენ:

- სოციალურად დაუცველი სტუდენტები (70 ათასამდე სარეიტინგო ქულით);
- საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები სტუდენტები;
- სტუდენტები, რომლებმაც პანდემიის პერიოდში დაკარგეს სამსახური ან იმყოფებიან უხელფასო შვებულებაში და მთავრობისგან იღებენ შესაბამის დახმარებას;

50%-იანი შეღავათით ისარგებლებენ:

- ოჯახიდან 2 ან მეტი სტუდენტი ან სოციალურად დაუცველი სტუდენტები (70 000 ათასზე მეტი სარეიტინგო ქულით); ასევე, სტუდენტი, რომელსაც გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული ჰყავს დედა ან მამა.

ყველა დანარჩენი სტუდენტისთვის კი გათვალისწინებულია 30%-იანი შეღავათი. საქართველოში COVID 19-ით გამოწვეული მდგომარეობის გათვალისწინებით, სტუდენტური საერთო საცხოვრებელი მოსარგებლე სტუდენტებისთვის საშეღავათო პირობები 2020 წლის 1 მაისიდან დაიწყო და 2021 წლის გაზაფხულზეც გაგრძელდა



საბაგირო ხაზის მომსახურება სტუდენტებისთვის უფასოა

2021 წელს უნივერსიტეტი-ბაგების დამაკავშირებელი ახალი საბაგირო ხაზი გაიხსნა. დღის განმავლობაში საბაგირო ასობით სტუდენტს უფასოდ მოემსახურება. საბაგირო ხაზით სარგებლობას მოსახლეობა ყოველდღე – 08:00-20:00 საათებში შეძლებს.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში სტუდენტთა სწავლის საფასურის დასაფარად გამოყოფილი დაფინანსება გაიზარდა და 2021 წელს 700 000 ლარს შეადგენს.

2020 წელს გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრებში სწავლა დაუფინანსდა და შიდა დაფინანსება მოიპოვა 600-მე მეტმა სტუდენტმა.

სახელმწიფო და შიდა საუნივერსიტეტო სტიპენდიებისთვის თსუ ბიუჯეტში 2021 წელს სულ 1,1 მლნ ლარზე მეტია გამოყოფილი.

თსუ სტუდენტებს წლებია, რაც სწავლის საფასურის ეტაპობრივი გადახდის და მოქნილი გრაფიკით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ. შედავითან დაკავშირებით მხოლოდ 2021 წლის გაზაფხულის სემესტრში 2800-ზე მეტი სტუდენტის მიმართვა იყო, რომლებიც სრულად დაკმაყოფილდა.

დაფინანსების შესაძლებლობები თსუ-ში

2021 წლისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (გარდა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო და ISET-ის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისა) სწავლის წლიური საფასური **2 250** ლარია (საქართველოს მოქალაქეებისთვის).

ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 100%-იანი სახელმწიფო გრანტის (**2 250** ლარი) მოპოვების შემთხვევაში სწავლა სრულად დაფინანსდება. ერთიან ეროვნულ გამოცდებზე 70%-იანი (**1575** ლარი) და 50%-იანი (**1125** ლარი) სახელმწიფო გრანტის მოპოვების შემთხვევაში, მიღებული გრანტის მოცულობა გამოაკლდება სწავლის საფასურს. ასევე უნივერსიტეტში მოქმედებს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული პროგრამები და არსებობს დაფინანსების დამატებითი შესაძლებლობები.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საბაკალავრო პროგრამები

- მასწავლებელთა მომზადების პროგრამა
- მათემატიკა
- ფიზიკა
- ქიმია
- ბიოლოგია
- ეკონომიკა-ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე
- ისტორია
- ფილოლოგია-ქართული ენა და ლიტერატურა
- ფილოსოფია
- არქეოლოგია



სტიპენდიები

- „**სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს**“: თვეში 150 ლარი (ერთი სემესტრის განმავლობაში, თითოეულზე 5 თვე – **750** ლარი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).
2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი (2020 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის 28 თებერვლის ჩათვლით) **670** სტუდენტი.
2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრი (2020 წლის პირველი მარტიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით) **613** სტუდენტი.

2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომა (2020 წლის პირველი ოქტომბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით) **714** სტუდენტი.

2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომა (2021 წლის პირველი იანვრიდან 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით) **714** სტუდენტი.

- **„ოთარ ჩხეიძის სახელობის სტიპენდია“** (პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი): 2020 წლის პირველი მარტიდან 2021 წლის პირველ მარტამდე: ერთი სტუდენტი, თვეში **200** ლარი, წლიური **2400** ლარი (მიზნობრივი კერძო პირი).
- **„მიხეილ სვანიძის სახელობის სტიპენდია“** (პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი): 2020 წლის 10 თებერვლიდან 2020 წლის 10 დეკემბრამდე: ერთი სტუდენტი, თვეში **250** ლარი; 10 თვე – **2500** ლარი (მიზნობრივი კერძო პირი).
- **„პროფესორ მამია ღაღანიძის სახელობის სტიპენდია“** (ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი): ერთი სტუდენტი თვეში **250** ლარი, 5 თვე სულ **1250** ლარი (პროფესორ მამია ღაღანიძის სახელობის ფონდი).
- **„გვანჯი მანაის სახელობის სტიპენდია“** (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი): 2019 წლის პირველი ოქტომბრიდან 2020 წლის პირველ მარტამდე: ერთი სტუდენტი, თვეში **150** ლარი, 5 თვე სულ **750** ლარი (მიზნობრივი კერძო პირი).
- **„კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტიპენდია“** (იურიდიული ფაკულტეტი): 2020 წლის პირველი იანვრიდან 2020 წლის 31 ივლისის ჩათვლით – ერთი სტუდენტი, თვეში **300** ლარი, 7 თვე, სულ **2100** ლარი; 2020 წლის პირველი ოქტომბრიდან 2021 წლის 28 თებერვლის ჩათვლით; ერთი სტუდენტი, თვეში **300** ლარი, 5 თვე, სულ **3000** ლარი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).
- **ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის სტიპენდია** (ეკონომიკური შემოსავლები) – ყოველთვიურად იცვლება სტუდენტების რაოდენობა და სტიპენდიის თანხა.
- **თი-ბი-სი-ს სახელობის სტიპენდია** (ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი): 2019 წლის ოქტომბრის თვიდან 2020 წლის თებერვლის თვის ჩათვლით – 3 სტუდენტი, თვეში **200** ლარი, 5 თვე, სულ **3000** ლარი.
- **ვილნიუსის (ლიეტუვას რესპუბლიკა) უნივერსიტეტისა და თსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში**: 2020 წლის 21 სექტემბრიდან 2021 წლის 10 თებერვლის ჩათვლით, 4 სტუდენტი, თვეში **750** ლარი, **3750** ლარი.
- **სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქის სტიპენდია**: 2019 წლის 16 სექტემბრიდან 2020 წლის 16 ივლისის ჩათვლით – 4 სტუდენტი, თვეში **300** ლარი თითოეულზე, თვეში **1200** ლარი, 10 თვე, სულ **12000** ლარი; 2020 წლის 16 სექტემბრიდან 2021 წლის 16 ივლისის ჩათვლით – ერთი სტუდენტი, თვეში **300** ლარი, 10 თვე, სულ **3000**

ლარი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

- **„ვილნიუსის (ლიეტუვას რესპუბლიკა) და კარლოსის (ჩეხეთის რესპუბლიკა) უნივერსიტეტებსა და თსუ-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად**: 2020 წლის 2 მარტიდან 2020 წლის 31 ივლისამდე, 2 სტუდენტი, თვეში **500** ლარი, სულ **2500** ლარი. 2020 წლის სექტემბრის თვიდან 2021 იანვრის თვემდე – 4 სტუდენტი, ჯამში **3668.75** ლარი; 2021 წლის მარტის თვიდან 3 სტუდენტი – თვეში **562.5** სასწავლო წლის ბოლომდე.
- **ჩინელი სტუდენტი**: 2020 წლის ოქტომბრიდან 2021 ივნისის ჩათვლით, თვეში **800** ლარი, 9 თვე, სულ **7200** ლარი (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო).

საუნივერსიტეტო დაფინანსება

სტუდენტთა (ბაკალავრიატი/მაგისტრატურა/ერთსაფეხურიანი სამედიცინო):

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის და 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრებში სწავლის საუნივერსიტეტო დაფინანსების საერთო ოდენობა, თითოეულ სემესტრში **300 000** ლარი.

დოქტორანთა:

- **ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი**: 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის საუნივერსიტეტო დაფინანსების საერთო ოდენობა **2812.50** ლარი; 2 დოქტორანტი; 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის საუნივერსიტეტო დაფინანსების საერთო ოდენობა **7031.25** ლარი; 5 დოქტორანტი.
- **ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი**: 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში სწავლის საუნივერსიტეტო დაფინანსების საერთო ოდენობა **7031.25** ლარი; 5 დოქტორანტი. 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სწავლის საუნივერსიტეტო დაფინანსების საერთო ოდენობა **7031.25** ლარი; 5 დოქტორანტი (ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი).
- სტუდენტების ჩართულობით განხორციელებული შედეგზე ორიენტირებული კულტურული და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის გათვალისწინებულია **780 000** ლარი.
- სტუდენტების გაცვლითი პროგრამებისთვის, სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებისთვის, იმპირიებული პროცესებისთვის და სხვა დაფინანსებისათვის გამოყოფილია **415 000** ლარი.
- სტუდენტთა ექსპედიციის და პრაქტიკის დაფინანსებისათვის გათვალისწინებულია **121 000** ლარი (პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი – **30000** ლარი; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი – **56000** ლარი; სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – **35000** ლარი).

თსუ მედიისა და ძალთმედიის საზოგადოებრივი კოლეჯი

2018 წლიდან ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო სივრცეს მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯი შემოემატა. ამ შეუძლიათ ახალგაზრდებს დაეუფლონ ჟურნალისტის, ტელეწამყვანის, ოპერატორის თუ სხვა ტელე-ხელოვნებას, თეორიულთან ერთად პრაქტიკული ცოდნაც შეიძინონ. აქვე მიიღებენ პირველ საშუალო გამოცდილებას და პირველ მედია-პროდუქტსაც შექმნიან. წელს კოლეჯს არსებობის 30 წელი უსრულდება. მის სიცოცხლისუნარიანობას უპირველეს ყოვლისა განაპირობებს კარგად ორგანიზებული სასწავლო პროგრამები, ტექნიკური ბაზა, კომპეტენტური ადმინისტრაცია და მოწვეული კვალიფიციური სპეციალისტები; ნდობა საზოგადოების, მედია მწარმოებლების და პარტნიორების მხრიდან. კოლეჯმა 2019 წელს 30 წლის იუბილე აღნიშნა კოლეჯის პროფესიული პროგრამები:

- რეპორტიორი;
- ტელე-რადიო წამყვანი;
- ტელერეჟისურა;
- ვიდეოგრაფია;
- ტელეკამერის დიშაინი;
- ვიდეომონტაჟი;
- ფოტოგრაფია.



2019 წელი – 7 აპლიკანტი ერთ ადგილზე



თსუ უწყვეტი განათლება

უნივერსიტეტი ყვალა დაინფორმირებულ პირს დიპლომის შემდგომი განათლების შესაძლებლობას აძლევს

- თსუ უწყვეტი განათლების ცენტრის მისიაა, საზოგადოებას მისცეს საშუალება გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსები და გამოცდილება პროფესიული და პირთვნილი განვითარებისთვის, კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, ახალი პროფესიული უნარების შექმნისთვის.
- ცენტრი იკვლევს საჭიროებებს და უნივერსიტეტის აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს სთავაზობს მიზნობრივი კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს. შრომითი ბაზრისა და სოციალური მოთხოვნების, საჭიროებების კვლევის საფუძველზე კი ქმნის სასერტიფიკატო და ტრენინგ-კურსებს ფართო საზოგადოებისთვის.
- თსუ უწყვეტი განათლების ცენტრში ფუნქციონირებს საბავშვო უნივერსიტეტი და აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება.
- აბიტურიენტთა მოსამზადებელი განყოფილება აბიტურიენტებს სთავაზობს მოსამზადებელ კურსებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის, საატესტატო გამოცდებისთვის, საერთო სამაგისტრო გამოცდებისთვის.

თსუ საბავშვო უნივერსიტეტი



- თსუ საბავშვო უნივერსიტეტის მიზანი მოსწავლეებში სწავლისადმი, მეცნიერებისადმი ინტერესის გაზრდა და გაფართოება.
- საბავშვო უნივერსიტეტი მოსწავლეებს მრავალ პროგრამას სთავაზობს: ღია კარის დღეები, შეხვედრები, ლექციები, „ნოჩთა სკოლები“, მამთრის და ზაფხულის სკოლები, პროექტი „თსუ დესპანი“, კონფერენციები, ვიქტორინები, ლაბორატორიული მეცადინეობები, ლექციები პროფორიენტაციაში და სხვ. აღნიშნულ პროექტებში მონაწილეობა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ სხვადასხვა პროფესიის გაცნობას, პროფესიის მეტად გააზრებულად არჩევას.
- ღონისძიებები იმართება როგორც უნივერსიტეტში, ასევე დედაქალაქის და საქართველოს რეგიონის სკოლებში. 2020 წლის გაზაფხულზე საბავშვო უნივერსიტეტმა ონლაინ აქტივობებიც დაამატა.



სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრი

მისია: სტუდენტების ხელშეწყობა მათი ცოდნის, ინტერესების, მისწრაფებების შესაბამისი დასაქმების შესაძლებლობების ძიებაში შრომის ბაზარზე თავის დამკვიდრებისა და წარმატებული პირადი და პროფესიული თვითრეალიზების მიზნით.

მიზნები და საქმიანობა:

- სტუდენტების ხელშეწყობა დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგადი უნარ-ჩვევების განვითარებაში;
- სტუდენტების ინფორმირება შრომის ბაზრის შესაძლებლობების, პერსპექტივების შესახებ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციების საშუალებით;
- რეგულარული ტრენინგები: CV, სამოტივაციო წერილი და სამუშაოს ძიების პროცესში საჭირო სხვა დოკუმენტები; დამსაქმებელთან ინტერვიუ;
- სტუდენტების დახმარება პროფესიულ ორიენტაციაში და თვითგამორკვევაში, პრიორიტეტების განსაზღვრაში და საკუთარი განათლებისა და კარიერის სწორად წარმართვაში;
- სტუდენტების დახმარება დამსაქმებელთან ურთიერთობაში: თემატური ღონისძიებები, სემინარები, შეხვედრები, დასაქმების ფორუმები;
- დამსაქმებელთან ურთიერთობა სტუდენტებისთვის დასაქმების სხვადასხვა შესაძლებლობების ხელშეწყობის მიზნით (სტაჟირება და სხვა).
- 2020 წლის გაზაფხულიდან სტუდენტთა კარიერული განვითარების ცენტრმა, ტრადიციული საქმიანობის გარდა, სტუდენტებს ონლაინ აქტივობებიც შესთავაზა.



თსუ - გზა წარმატებისაკენ

- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა **მარიამ გეგუჩაძემ** და **ანა ჭიქიამ** მართლმსაჯულების საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვეს. კონკურსი Central and East European Moot Court Competition-ი 1996 წლიდან იმართება და საქართველო წელს პირველად გახდა ამ კონკურსის გამარჯვებული. მარიამ გეგუჩაძე და ანა ჭიქია, გუნდის კიდევ ერთ წევრთან, ნინო საყვარელიძესთან ერთად კემბრიჯის უნივერსიტეტში გაემგზავრებიან;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი **არილ ჯავახიშვილი** სწავლას სრული დაფინანსებით პენსილვანიის სახელმწიფო უნივერსიტეტში (აშშ) კერძო სამართლის მიმართულებით აგრძელებს. არილ ჯავახიშვილი, პარალელურად, ევროპის შვიდმა და ამერიკის ხუთმა უნივერსიტეტში მიიღო;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა **გოგა ქათალანძემ** 2020 წელს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებულ გაცვლით პროგრამაში გაიმარჯვა და ქალაქ დეტროიტის საჯარო სკოლებში საქართველოს შესახებ გაკვეთილებს ატარებდა; პარალელურად, თსუ ERASMUS-ის გაცვლით პროგრამაში გაიმარჯვა და სწავლა ირლანდიის რესპუბლიკაში, დუბლინის საუნივერსიტეტო კოლეჯში განაგრძო. დანიის ლტოლვითა საბჭოში, როგორც მონაცემთა ბაზის ანალიტიკოსი სტაჟირებას გადიოდა, ამჟამად კი არასამთავრობო ორგანიზაციის „განათლების გლობალური საბჭოს“ თანადამფუძნებელია;



მარიამ გეგუჩაძე



ანა ჭიქია



არილ ჯავახიშვილი



გოგა ქათალანძე

- **ბექა მოდრეკილაძე** თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კურსდამთავრებულია. ის დღეს Carnegie Mellon University-ში (აშშ) დოქტორანტურის საფეხურზე სწავლობს და გრავიტაციული ტალღებისა და კვანტური გრავიტაციის შესახებ უნივერსიტეტის სტუდენტებს ლექციებს უკითხავს;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებული **თონა ეძგვერაძე** ბერლინის ჰუმბოლტის უნივერსიტეტში (Humboldt University of Berlin), კოპენჰაგენის ბიზნეს სკოლაში (Copenhagen Business School), სტოკჰოლმის უნივერსიტეტსა (Stockholm University) და ვენის ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში (Central European University in Vienna) ჩაირიცხა სამაგისტრო პროგრამებზე. მან მოიპოვა DAAD-ის ორწლიანი სამაგისტრო სტიპენდია, რომელიც ჰუმბოლტის უნივერსიტეტში სწავლისა და ცხოვრების ხარჯებს 100 პროცენტით დაუფინანსებს, ასევე მოიპოვა დანიის მთავრობის სტიპენდია კოპენჰაგენის ბიზნეს სკოლაში სწავლისა და ცხოვრების ხარჯების სრულად დასაფინანსებლად და ამასთან მიიღო ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სასწავლო გრანტი;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა **ონისე წულაია** The Global Hauser Scholarship მიიღო და პირველი ქართველი სტუდენტი გახდა, რომელიც ნიუ-იორკის უნივერსიტეტში (NYU) სამაგისტრო პროგრამაზე კორპორაციული სამართლის მიმართულებით სრული დაფინანსებით ისწავლის. ონისემ 2016 წელს თსუ იურიდიული ფაკულტეტის მესამე კურსზე ყოფნისას გაეროს მიერ დაფინანსებულ პროგრამაში გაიმარჯვა და ირლანდიაში ლიმერიკის უნივერსიტეტში სწავლობდა, 2017 წელს კი ნიუ-იორკში ნაზარეთის კოლეჯში ამერიკის მთავრობის მიერ სწავლის სრული დაფინანსება მიიღო. ამჟამად, ონისე წულაია ამერიკულ იურიდიულ კომპანია SunBreath Corp-ში უფროს იურისტად მუშაობს.



ბექა მოდრეკილაძე



თონა ეძგვერაძე



ონისე წულაია



თსუ - გზა წარმატებისკენ



თსუ კურსდამთავრებული
სოფო შინჯიკაშვილი
ევროპაში Microsoft-ის
ყველაზე დიდ დეველოპერულ
ცენტრში მუშაობს



თსუ კურსდამთავრებული
მარიამ დვაძე კორპორაცია
ExxonMobil-ის ფილიალის
ფინანსური ანალიტიკოსი გახდა

დავით ცირეკიძე

ISET სამაგისტრო პროგრამის
კურსდამთავრებულმა სწავლა აშშ-ში გააგრძელა და სტენფორდის
უნივერსიტეტის ეკონომიკის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. დღეს
ის ვაშინგტონის წამყვან ეკონომიკურ კვლევით ცენტრში მუშაობს



თსუ კურსდამთავრე-
ბული
გიორგი მეგრელი
Google-ს ლონდონის
ოფისში დასაქმდა




თსუ-ში სანდიეგოს
უნივერსიტეტის
პროგრამის სტუდენტმა
ლუკა ლომთაძემ
სტაჟირება Facebook-ის
სათაო ოფისში გაიარა



საერთაშორისო კონფერენციები

Covid 19-ის პანდემიამ შეცვალა საერთაშორისო კონფერენციებისა და ღონისძიებების ჩატარების ფორმა და წესები, თუმცა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი 2020-2021 კვლავ ძალიან აქტიურადაა ჩართული ონლაინ სივრცეში და/ან Covid 19-ის წესების დაცვით გამართულ საერთაშორისო კონფერენციებში და მის ორგანიზატორადაც გვევლინება. ქვემოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს გთავაზობთ:

- 23 იანვარი 2020 წელი - 120-ზე მეტი ევროპული უნივერსიტეტის წარმომადგენლებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. ევროპული უნივერსიტეტების ასოციაციის (EUA) ისტორიაში პირველად, ასოციაციის წარმომადგენლებმა შეხვედრა ევროკავშირის არაწევრ ქვეყანაში გამართეს.
- 27 იანვარი 2020 წელი - ასამდე ცნობილი ფიზიკოსმა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებიდან მიიღო მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციაში, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობდა.
- 27 იანვარი 2021 წელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ორგანიზებით, Visegrad+ საგრანტო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „Transferring V4 expertise in knowledge/technology transfer“ გახსნით ღონისძიება გაიმართა.
- 22 თებერვალი 2021 წელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა კორკის უნივერსიტეტსა (ირლანდია) და შეფილდის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით საგანმანათლებლო პროგრამებისა და კერძო კვლევის გარე აქტივობების და მხარდაჭერი ღონისძიებების დაგეგმვის შესახებ EUA თემატური ჯგუფის ანგარიში EUA-ს სწავლისა და სწავლების ფორუმზე წარადგინა.
- 1 მარტი 2021 წელი - საერთაშორისო კონფერენციაში „კლასიკური ენების სწავლება XXI საუკუნეში - Vitae Discimus“, რომელიც თსუ-ს ორგანიზებით გაიმართა 30-ზე მეტი მომხსენებელი მონაწილეობდა მსოფლიოს 10 ქვეყნიდან და 4 კონტინენტიდან.
- 11 მაისი 2020 წელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლა (ISET) და ISET-ის კვლევითი ინსტიტუტის ონლაინ სადისკუსიო პანელის სერიებიდან რიგით მეორე ღონისძიებას “პანდემიის შემდგომის უმადლესი განათლების გადააზრება” უმასპინძლა.
- 15 მაისი 2020 წელი - პოსტსაბჭოთა ქვეყნების ისტორიაში პირველად, საქართველოში 2022 წელს შედარებითი ლიტერატურის მსოფლიო კონგრესი ჩატარდა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა თსუ ქართული ლიტერატურის ინსტიტუტთან ერთად უმასპინძლეს.
- 27 მაისი 2020 წელი - ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ორგანიზებით ონლაინ სადისკუსიო პანელი „პანდემია, მსოფლიო ეკონომიკა და საქართველო“ გაიმართა.



- 1 ივლისი 2020 წელი - უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია კორონავირუსის კრიზისის და კრიზისის შემდგომ პერიოდში" - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვებინარი გამართა, რომლის მთავარი თემა იყო კორონავირუსის პანდემიის გავლენა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციაზე.
- 13 ივლისი 2020 წელი - „უნივერსიტეტების მესამე მისია კრიზისის და კრიზისის შემდგომ პერიოდში" - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვებინარი გამართა.
- 15 ივლისი 2020 წელი - "ინკლუზია და თანასწორობა უმაღლეს განათლებაში კორონავირუსის კრიზისის და კრიზისის შემდგომ პერიოდში" - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ვებინარი გამართა, რომლის მთავარი თემა იყო კორონავირუსით გამოწვეული კრიზისის გავლენა ინკლუზიისა და თანასწორობის უზრუნველყოფაზე უმაღლეს განათლებაში.
- 16 სექტემბერი 2020 წელი - ელექტრომაგნიტიზმის, ელექტროდინამიკის, ანტენების და აკუსტიკის თეორიის მიმართულებებით უახლესი სამეცნიერო კვლევის შედეგები გაუზიარეს ერთმანეთს ქართულმა და უცხოელმა მეცნიერებმა ყოველწლიურ საერთაშორისო სემინარ/კონფერენციულ "პირდაპირი და შებრუნებული ამოცანები ელექტრომაგნიტურ და აკუსტიკურ ტალღურ თეორიაში" (DIPED).
- ოქტომბერი 2020 წელი - 80-ზე მეტი ადგილობრივი და საერთაშორისო მეცნიერ-მკვლევარი მონაწილეობს კონფერენციაში „ქართულ-ოსურ ურთიერთობათა განვითარების პერსპექტივები", რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წელს უკვე მეექვსედ გაიხსნა.
- 6 ნოემბერი 2020 წელი - „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში" - ონლაინ კონფერენცია ოსე-ში.
- 13 ნოემბერი 2020 წელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ და რექტორის მოადგილემ ნინო ოკრიბელაშვილმა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (BSEC) ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოების მაღალი დონის ვირტუალურ კონფერენციაში „რეგიონული თანამშრომლობის გაძლიერება მდგრადი განვითარების მიზნების განსახორციელებლად" მიიღეს მონაწილეობა.
- 10 დეკემბერი 2020 წელი - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანაორგანიზებით, ევროპისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების მედია და კინო პროფესიონალებმა და საზოგადო მოღვაწეებმა მედია ფაკულტეტის სტუდენტებს, ახალგაზრდა ჟურნალისტებს და კინემატოგრაფისტებს მრავალი ნაციონალიზაციისა და პოლარიზაციის პირობებში კულტურული მრავალფეროვნების თემების და პრობლემების მიმართ საკუთარი გამოცდილება გაუზიარეს.



სოფლიო კოლიტიკური, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ლიდერების შეხვედრები თსუ სტუდენტებთან

ყოველწლიურად უნივერსიტეტში 100-ზე მეტი საჯარო ლექცია იმართება. კოვიდ 19-ის პანდემიამ მნიშვნელოვად შეცვალა ვიზიტების დღის წესრიგი, თუმცა ტრადიცია მომავალშიც აუცილებლად გაგრძელდება. 2018-2019 წლებში საჯარო შეხვედრებსა და ლექციებში მონაწილეობდნენ:

- გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი;
- იტალიის პრეზიდენტი სერჯო მატარელა;
- ვატიკანის საგარეო საქმეთა მინისტრი, არქიეპისკოპოსი პოლ რიჩარდ გალაპერი;
- ამერიკელ ებრაელთა კომიტეტის (AJC) აღმასრულებელი დირექტორი დევიდ ჰარისი;
- სამურაების უმაღლესი მმართველი ოჯახის წარმომადგენელი ტოკუგავა ნარიმასა;
- ცნობილი პროფესორი ეკონომიკის დარგში ჯეფრი დევიდ საქსი;
- ნატოს გენერალური მდივნის მოადგილე, როუზ გოტმიოლერი;
- საბერძნეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ნიკოს კოძიასი და სხვა.

საერთაშორისო ფორუმები თსუ-ში

#Datafest Tbilisi 2019 — 1000-ზე მეტი მონაწილე 24 ქვეყნიდან, 80-მდე სპიკერი და ტრენერი Google, Facebook, Amazon და სხვა ცნობილი კომპანიებიდან; თსუ-მ უმასპინძლა TEDxTbilisi-საც, რომელსაც 1000-მდე სტუმარი დაესწრო და სხვა. მომავალშიც თსუ მსგავსი ფორუმების მასშტაბის ტრადიციის გაგრძელებას გეგმავს.



„პირველი სხივის“ ახალი სიცოცხლე

2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლიტერატურულ ალმანახს „პირველი სხივის“ განახლებული პირველი ნომრის პრეზენტაცია გაიმართა.

■ ჟურნალში 50-მდე სხვადასხვა თაობის ავტორია წარმოდგენილი.

■ გარდა ორიგინალური პროზისა და პოეზიისა, დაბეჭდილია თარგმანები სხვადასხვა ენიდან.

■ ცალკე რუბრიკა ეძღვნება დრამატურგიას, ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკას.

რუბრიკაში „მასტერკლასი“ ახალგაზდა მწერლებს საშუალება ექნებათ გაეცნონ როგორც უცხოელი, ისე თანამედროვე ქართველი ავტორების შეხედულებებს წერის ხელოვნებაზე. რუბრიკა „ჩვენი ერთი პუბლიკაციის გამო“ დროდადრო ჟურნალში ადრე დაბეჭდილ გამორჩეულ მასალებსა და მათ თავგადასავალს შემოგთავაზებთ.

„პირველი სხივის“ პირველი ნომერი 1950 წელს გამოვიდა.

მისი ინიციატორი უნივერსიტეტის იმდროინდელი რექტორი ნიკო კვცხოველი იყო.

2004 წლამდე „პირველი სხივის“ 30 ნომერი გამოიცა.

განახლებული „პირველი სხივის“ რედაქტორი პოეტი, მთარგმნელი, თსუ პროფესორი გიორგი ლობჯინიძე.



„93-ე აუდიტორია“ — კლუბი ლიტერატურის მოყვარულთათვის

2018 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში კლუბი „93-ე აუდიტორია“ აღდგა. ამ აუდიტორიაში უნივერსიტეტის ისტორიის განმავლობაში საინტერესო ლიტერატურული ღონისძიებები, ახალგაზრდა მწერალთა შეხვედრა-დისკუსიები იმართებოდა.

ტრადიციის შესაბამისად, აუდიტორია ვვლავ გვრებს ლიტერატურის მოყვარულებს. პირველი შეხვედრები აქ პოეტებთან დაგით მალრადქსთან, ტარიელ ხარხელაურთან, ვახტანგ ჯავახიძესთან, ლია სტურუასთან და სხვებთან ჩატარდა.



შეხვედრები „ჩაის სახლში“

თსუ რექტორის, გიორგი შარვაშიძის ინიციატივით, „ჩაის სახლში“ საზოგადოებრივი შეხვედრების ტრადიცია დამკვიდრდა. რექტორი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს ხვდება. შეხვედრებზე იგი სტუმრებს განვლილი საქმიანობის ანგარიშს და სამომავლო გეგმებს აცნობს. უკვე შედგა შეხვედრები ჟურნალისტებთან, მწერლებთან, მხატვრებთან და სხვა სფეროს წარმომადგენლებთან.

თსუ მუზეუმი

თსუ მუზეუმი ათასობით ექსპონატს ინახავს, რომლებიც მუზეუმის საგამოფენო დარბაზებში და 7 მუზეუმის სივრცეშია განთავსებული:

- არქეოლოგიის მუზეუმი;
- გეოგრაფიის მუზეუმი;
- ზოოლოგიის მუზეუმი;
- მინერალოგიის მუზეუმი;
- პალეონტოლოგიის მუზეუმი;
- უნივერსიტეტის ისტორიის მუზეუმი;
- ქართული ემიგრაციის მუზეუმი;

2019 წელს თსუ მუზეუმის გუმბათქვეშ გაიხსნა ახალი საგამოფენო სივრცე



სტუდენტური პროექტები

- 2017 წლიდან უნივერსიტეტში სტუდენტური დაფინანსების ახალი, გამჭვირვალე წესი ამოქმედდა;
- პროექტებს საგრანტო კონკურსის საფუძველზე ამტკიცებს შვიდდაცვიანი საბჭო. საბჭოში პროფესორები, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები შედიან;
- 2017-2020 წლებში სტუდენტთა სხვადასხვა ჯგუფების მიერ წარმოდგენილი 500-ზე მეტი პროექტი დაფინანსდა;
- სტუდენტური პროექტების ჯამურმა ბიუჯეტმა 2,6 მილიონი ლარამდე შეადგინა.





თსუ სტუდენტური კონკურსები

ლიტერატურული კონკურსი „შემოდგომის ლეგენდა“ — კონკურსი დამწყებ მწერლებს პირველი სალიტერატურო ნაბიჯების გადადგმას სთავაზობს. პარტნიორი კომპანია „სილქნეტი“;

მარკეტინგული და პიარ-კონკურსი „მისია“

— ყოველწლიურად ახალი პარტნიორი ქართული ბრენდი; ბოლო წლების პარტნიორი კომპანიები „ას ჯორჯია-დირსი“, IDS-ბოტკომი-საქართველო; „გეოპლანტი“ (გურიელი); „ნატახტარი“; „სანტე-ჯემ-თი პროდუქტები“; თიბისი ბანკი.

„UNIKადრი“ — კონკურსი უნივერსიტეტის შენობის, სასწავლო პროცესისა და სტუდენტური ცხოვრების ამ-სახელი საუკეთესო კადრის გამოსავლენად;

„ლიტპაიკერი“ — სტუდენტური კონკურსი მხატვრული ლიტერატურის მოყვარულთათვის. პარტნიორი გამომცემლობა „წიგნები ბათუმში“; პროექტი 2020 წელს „სულაკაურის გამომცემლობათან“ პარტნიორობით მიმდინარეობდა.



თსუ სპორტი

უნივერსიტეტში მოქმედებს ალპინიზმის, კალათბურთის, ხელბურთის, ფუტსალის, ფრენბურთის, ათლეტიკის, მკლავჭიდის, მაგიდის ჩოგბურთის, მშვილდოსნობის და სხვა სპორტული კლუბები. წელიწადში სპორტის 19 სახეობაში 70-ზე მეტი ტურნირი ტარდება. პანდემიამ 2020-2021 წლებში სპორტულ აქტივობებზე იქონია გავლენა, თუმცა სიახლეები თსუ სპორტში კვლავ არის:

- თსუ ფუტსალის კლუბი საქართველოს ფუტსალის ლიგის ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელია, თსუ გუნდმა საქართველოს ფუტსალის უმაღლესი ლიგის 2019-20 წლების სეზონის მოიგო და ევროპის ფუტსალის ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩზე გავიდა. ფუტსალის კლუბი 2021 წლის მიმდინარე გათამაშებასაც წაუგებლად ლიდერობს.
- საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2020 წლის საქართველოს ფუტსალის საუკეთესო მწვრთნელად თსუ ფუტსალის გუნდის მწვრთნელი დავით ბოზოხიძე დაასახელა;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მსოფლიო მასშტაბით პოპულარული კროსფიტის პირველი დარბაზი გაიხსნა საქართველოში. კროსფიტი, რომელიც 2000 წლებიდან ჩამოყალიბდა, როგორც სხვადასხვა სტილის ვარჯიშების ერთობლიობა, ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრების ერთ-ერთ საუკეთესო გზად ითვლება.



თსუ კულტურა

- უნივერსიტეტში ფუნქციონირებს სტუდენტური თეატრი „სხვენი“, მუსიკალური ბენდი „Sun of Suns“, „თსუ კაპელა“, „თსუ გორდელა“, ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „უნივერსიტეტი“, ქართული ცეკვის ანსამბლი „უნივერსიტეტი“, თანამედროვე ცეკვების სექცია „TSU Modern“ და ანალოგიური სახელწოდების ანსამბლი, მხიარულთა და საზრიანთა კლუბი და სხვა. 2020 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობით თსუ-თან არსებული „ირა კობხრეიძის ინკლუზიური თეატრი“ მაყურებლის წინაშე პრემიერით „იდუმალი მთის მიღმა“ წარსდგა. „იდუმალი მთის მიღმა“ ფილოსოფიურ-შემეცნებითი ხასიათის ინკლუზიური სპექტაკლია, რომელიც დედამიწაზე მოვლენის შემდეგ ადამიანის მიერ განვლილ გზას ასახავს.
- „თსუ კაპელამ“ 2019 წლის მუსიკისა და ცეკვის VIII საერთაშორისო ფესტივალზე Music & Sea გრან პრი მოიპოვა;
- თსუ ქორეოგრაფიული ანსამბლი „უნივერსიტეტი“ დუბაის 2018 წლის საერთაშორისო ფესტივალის გამარჯვებულია.
- თსუ გორდელას საგასტროლო კალენდარში 2019 წელს „ვენედი ცენტრის“, კარნეგი ჰოლის და სხვა ტურნეები ჩაიწერა.





სტუდენტური ცხოვრება

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება 350-ზე მეტი სტუდენტური ღონისძიება, მათ შორისაა:


- **თსუ გაშობა/TSU Graduation** – 2019 წელს თსუ 3000-მა სტუდენტმა დაამთავრა, ღონისძიებას ჯამში 6000-მდე სტუმარი დაესწრო;
- **TSU Welcome Party** – სტუდენტებისთვის გამართულ საღამოზე ქართველ მუსიკოსებთან ერთად დეტრო-იტელმა არტისტმა კენი ლარკინმა დაუკრა; ღონისძიებას 8000-ზე მეტი სტუდენტი ესწრებოდა;
- **TSU New Year Party 2000** – სტუდენტების განწყობაზე დიჯეიმ და პროდიუსერმა Terrence Parker-მა და Aleksandir Lawrence-მა იზრუნეს;



თსუ გაშობა 2020/ TSU GRADUATION 2020



- საქართველოსა და მსოფლიოში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო ღონისძიების ძირითადი ნაწილი განსხვავებულ – ონლაინ ფორმატში გაიმართა და საგანგებოდ მომზადებული სიურპრიზებით აღინიშნა.
- 2020 წლის კურსდამთავრებულთა გამოშვების საზეიმო ღონისძიება უნივერსიტეტის ეზოდან 3500 სახელობითი ბუშტის გაშვებით დასრულდა.
- ვიდრე #თსუგაშობა2020-ს იზეიმებდნენ, სტუდენტებს პირველ და მეათე (მალღივ) კორპუსებთან განლაგებულ ფოტოზონებში სამახსოვრო ფოტოების გადაღების შესაძლებლობა ჰქონდათ.





საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

ძირითადი და დამატებითი სპეციალობები:

- ფილოსოფია; ისტორია; არქეოლოგია; ეთნოლოგია; კულტურის კვლევები; ხელოვნებათმცოდნეობა; კავკასიოლოგია; არაბისტიკა; ირანისტიკა; ასიოლოგია; თურქოლოგია; არმენოლოგია; ებრაისტიკა-არამე-ისტიკა; ქართული ფილოლოგია; ინგლისური ფილოლოგია; გერმანული ფილოლოგია; სკანდინავიური ფილოლოგია; ფრანგული ფილოლოგია; იტალიური ფილოლოგია; ესპანური ფილოლოგია; რუსული ფილოლოგია; ახალი ბერძნული ფილოლოგია; კლასიკური ფილოლოგია; ბიზანტიური ფილოლოგია; ამერიკისმცოდნეობა; სახვითი ხელოვნება; ტელე-კინო ხელოვნება; კავკასიოლოგია (რუსულენოვანი); რუსული ფილოლოგია (რუსულენოვანი).
- დამატებითი სპეციალობები:
 - დამატებითი სპეციალობები: გამოყენებითი ენათმეცნიერება; შორეული აღმოსავლეთის რეგიონმცოდნეობა; რუსეთისმცოდნეობა; თეოლოგია.

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა (ამერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სტუდენტებისათვის).

საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები:

- აბიტურიენტებმა უნდა ჩააბარონ გამოცდა 3 სავალდებულო საგანში: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა, ისტორია.

თითოეულ საგანში დაწესებულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:

- ქართული ენა და ლიტერატურა – 40%,
- უცხო ენა – 40%,
- ისტორია – 30%.

მისაღები კონტინგენტი: 1000

2021-2022 სასწავლო წელს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი საბაკალავრო პროგრამებზე მიიღებს 1000 აბიტურიენტს. მათგან 400 აბიტურიენტს სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებულ პროგრამებზე.

სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული პროგრამები:

- ქართული ფილოლოგია – მისაღები კონტინგენტი 200;
- ისტორია – მისაღები კონტინგენტი 150;
- არქეოლოგია – მისაღები კონტინგენტი 25;
- ფილოსოფია – მისაღები კონტინგენტი 25.

სამაგისტრო სამაგისტრო პროგრამები:

ფილოსოფია;

სწავლების ენა: ქართული;

საქართველოს ისტორია;

სწავლების ენა: ქართული;

ახალი და უახლესი ისტორია;

სწავლების ენა: ქართული;

ძველი ენები და ცივილიზაციები;

სწავლების ენა: ქართული;

მედევისტკა;

სწავლების ენა: ქართული;

არქეოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერება;

სწავლების ენა: ქართული;

ქართველური ენათმეცნიერება;

სწავლების ენა: ქართული;

ქართული ლიტერატურა;

სწავლების ენა: ქართული;

ანგლისტიკა;

სწავლების ენა: ქართული;

გერმანული ფილოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

რომანული ფილოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

ბერძნულ-რომაული ფილოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

სლავური ფილოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

სლავური ფილოლოგია (რუსულენოვანი)

სწავლების ენა: რუსული;

თარგმანის თეორია და მთარგმნელობითი პრაქტიკა

სწავლების ენა: ქართული;

თარგმანი და კულტურათშორისი ურთიერთობები (ქართული და ინგლისური ენების ბაზაზე)

სწავლების ენა: ქართული;

შუა საუკუნეების ქრისტიანული აღმოსავლეთის ფილოლოგია

სწავლების ენა: ქართული;

კავკასიოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

კავკასიოლოგია (რუსულენოვანი);

სწავლების ენა: რუსული;

ამერიკისმცოდნეობა;

სწავლების ენა: ქართული;

რუსეთისმცოდნეობა;

სწავლების ენა: ქართული;

არაბისტიკა;

სწავლების ენა: ქართული;

ასირიოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

ირანისტიკა;

სწავლების ენა: ქართული;

თურქული ფილოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

ებრაულ-არამეული ფილოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

ლიტერატურათმცოდნეობა, ტექსტოლოგია და სარედაქციო სამუშაო

სწავლების ენა: ქართული;

კულტურული მემკვიდრეობა და თანამედროვეობა

სწავლების ენა: ქართული;

სახვითი ხელოვნება;

სწავლების ენა: ქართული;

კულტურის კვლევები;

სწავლების ენა: ქართული;

კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია;

სწავლების ენა: ქართული;

სკანდინავისტიკა;

სწავლების ენა: ქართული;



მიღების პირობები:

საერთო სამაგისტრო გამოცდა;
შიდა გამოცდები უცხო ენასა და სპეციალობაში.

სადოქტორო პროგრამები:

სადოქტორო პროგრამების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ელექტრონულ ბმულზე:
<https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/programs/phd/>

რესურსები სტუდენტებისთვის:

ფაკულტეტზე პრიორიტეტულია ენების სწავლება. ფაკულტეტი სთავაზობს შემდეგი ენების შესწავლას:

ქართველური ენები (ქართული, სვანური, მეგრული, ლაზური);
ევროპული ენები (ინგლისური, გერმანული, ფრანგული, ესპანური, იტალიური, პორტუგალიური, ახალი ბერძნული, ნორვეგიული, შვედური);
სლავური ენები (რუსული, პოლონური, უკრაინული);
აღმოსავლური ენები (არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, იაპონური, ჩინური);
კლასიკური ენები (ლათინური, ძველი ბერძნული);
ძველი ცივილიზაციის ენები (შუმერული, აქადური, ხეთური, ძველი ეგვიპტური);
კავკასიური და კავკასიაში გავრცელებული ენები (აფხაზური, ადიღური, ჩეჩნური, ხუნძური, უბიხური, თაბასარანული, უდიური, ბაცური, ინგუშური, სომხური, ოსური, ამერბაიჯანული).

საკონტაქტო ინფორმაცია:

0179, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N1, თსუ I კორპუსი.
ტელ: (+995 32) 2 25 04 85 (დეკანატი).
ელ. ფოსტა: humanities@tsu.ge

ვებგვერდი: https://www.tsu.ge/ge/faculties/humanities/programs/bach_programs/



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, კომპიუტერული მეცნიერება, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, ეკოლოგია, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი), ქიმია (ინგლისურენოვანი).

საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები: სავალდებულო გამოცდები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე: მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, კომპიუტერული მეცნიერება, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი), ქიმია (ინგლისურენოვანი):

- უცხო ენა (კოეფიციენტი 2);
- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 2).
- მათემატიკა (კოეფიციენტი 8)

სავალდებულო გამოცდები საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე:

გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია, ეკოლოგია:

- უცხო ენა (კოეფიციენტი 2);
- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 2).
- მათემატიკა / ისტორია (კოეფიციენტი 8)

2021-2022 სასწავლო წელს საბაკალავრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი: მუსიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტი 985. მათ შორის ქართულენოვანი პროგრამებისთვის – 925 ადგილი, ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის – 60 ადგილი.

სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებული საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებია: მათემატიკა – 100, ქიმია – 100, ბიოლოგია – 100, ფიზიკა – 100 ადგილი;

სხვა საბაკალავრო პროგრამებისთვის კვოტებია: კომპიუტერული მეცნიერება – 120; გეოგრაფია – 90; გეოლოგია – 35; ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია – 40; გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია – 60; ეკოლოგია – 50; **კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი) – 30, ქიმია (ინგლისურენოვანი) – 30.**

საერთო მიღება ფაკულტეტის შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე: კომპიუტერული მეცნიერება, გეოგრაფია, გეოლოგია, ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია, გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, ეკოლოგია, მათემატიკა, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია – 130 ადგილი.



სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

კომპიუტერული მეცნიერება

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა სპეციალობაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

ინფორმაციული სისტემები

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა სპეციალობაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

ინფორმაციული ტექნოლოგიები

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა სპეციალობაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

მათემატიკა

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა სპეციალობაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

გამოყენებითი მათემატიკა

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა სპეციალობაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

ფუნდამენტური ფიზიკა

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა სპეციალობაში (წერითი+შეპირი) (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა)

გამოყენებითი ფიზიკა

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა ფიზიკაში (წერითი+შეპირი), (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

ქიმია

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა ქიმიაში, ჩატარდება წერითი ფორმით (კრებსითი – ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ფიზიკური და ანალიზური ქიმია), (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);



ქიმიური ექსპერტიზა

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა ქიმიაში (კრებსითი – ზოგადი, არაორგანული, ორგანული, ფიზიკური და ანალიზური ქიმია), (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

ბიოლოგია

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა ბიოლოგიაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა გეოგრაფიაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა გეოგრაფიაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვა

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა გეოგრაფიაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

გეოლოგია

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა გეოლოგიაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა ელექტრულ და ელექტრონულ ინჟინერიაში (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

გამოყენებითი ბიომეცნიერებები

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა ზოგად ბიოლოგიაში, (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

ბიოფიზიკა

სწავლების ენა: ქართული;

შიდა გამოცდა ბიოფიზიკაში (წერითი+შეპირი), (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);



უცხოენოვანი საბაკისტრო პროგრამები:

გამოყენებითი ბიომეცნიერებები Applied Biosciences (ინგლისურენოვანი)

სწავლების ენა: ინგლისური;

შიდა გამოცდა ზოგად ბიოლოგიაში, (მინიმალური კომპეტენციის ზღვარი 51 ქულა);

პროგრამების წინაპირობები იხილეთ ფაკულტეტის ვებგვერდზე:

<https://www.tsu.ge/ge/faculties/science/uebavnoegzbbgodth/>

სადოქტორო პროგრამები:

ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამები იხილეთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:

<https://www.tsu.ge/ge/faculties/science/uebavnoegzbbgodth/doctor//>

საკონტაქტო ინფორმაცია:

0179, თბილისი, ი.ჭავჭავაძის გამზ. N3, თსუ II კორპუსი.

ტელ.: (+995 32) 2 250484-2324 (დევანატი).

ვებგვერდი: <https://www.tsu.ge/ge/faculties/science/ojyqp0d9tyfxg2m/>



საბაკალავრო საბანგანათლებლო პროგრამები:

- პოლიტიკის მეცნიერება;
- ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია;
- ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რუსულენოვანი);
- საერთაშორისო ურთიერთობები;
- სამოგადოებრივი გეოგრაფია;
- სოციალური მუშაობა;
- სოციოლოგია.

საბაკალავრო საფეხურზე საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების გარდა, ყველა მიმართულება სწავლების ძირითად სპეციალობასთან (major – 120 კრედიტი) ერთად, გთავაზობთ დამატებით (minor – 60 კრედიტი) სპეციალობებს, რომელთა კომბინირებაც სტუდენტის სურვილზეა დამოკიდებული.

საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები: ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩასაბარებელი საგნებია:

- ქართული ენა;
- უცხო ენა (ინგლისური);
- ისტორია/გეოგრაფია/მათემატიკა/ზოგადი უნარები.

2021-2022 სასწავლო წელს მისაღები კონტინგენტი:

სამოგადოებრივი გეოგრაფია/სოციოლოგია/სოციალური მუშაობა, პოლიტიკის მეცნიერება – სულ 455;

საერთაშორისო ურთიერთობები – 80;

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციები – 100;

ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია (ქართულ-რუსული) – 15.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/დასაქმება:

საბაკალავრო პროგრამის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, ფაკულტეტის კურსდამთავრებულს ენიჭება ბაკალავრის ხარისხი შესაბამის დარგში. ფაკულტეტის კურსდამთავრებულებს, მოქმედი პროგრამების დასრულების საფუძველზე მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად, ეძლევათ შესაძლებლობა დასაქმდნენ საჯარო და ადგილობრივი თვითმმართველობის დაწესებულებებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში, სხვადასხვა სახის მედიასა და საინფორმაციო სამსახურებში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

გენდერის კვლევა

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: სპეციალობა და ინგლისური ენა (B2), გასაუბრება სპეციალობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, თსუ II კორპ. ოთახი 339/340

ტელ.: (+995) 599 5540-450 მედუა ბადაშვილი

ელ.ფოსტა: medea.badashvili@tsu.ge

სოციოლოგია

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: სპეციალობაში, გასაუბრება ინგლისურ ენასა (B1) და სპეციალობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 306

ტელ.: (+995) 599 56-63-55 იაგო კატკატიშვილი

ელ.ფოსტა: iago.katchkatchishvili@tsu.ge

სოციალური მუშაობა

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში, გასაუბრება (უცხო ენასა და სპეციალობაში)

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 306

ტელ.: (+995) 599 46-52-31 ნინო შატბერაშვილი

ელ.ფოსტა: nino.shatberashvili@tsu.ge

ევროპული ინტეგრაცია და შრომითი ურთიერთობები

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: ტესტირება უცხო ენაში (B2 ინგლისური), გასაუბრება სპეციალობაში,

მიღება ხორციელდება შპს ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 306

ტელ.: (+995) 599 56-63-55 იაგო კატკატიშვილი

ელ.ფოსტა: iago.katchkatchishvili@tsu.ge

მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში, გასაუბრება (უცხო ენაში – ინგლისური B1 და სპეციალობაში).

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #8, თსუ VI კორპ. ოთახი 205

ტელ.: (+995) 599 45-29-12 მანანა შამილიშვილი

ელ.ფოსტა: manana.shamlishvili@tsu.ge

პოლიტიკის მეცნიერება

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 301

ტელ.: (+995) 599 14-51-69 მალხაზ მაცაბერიძე

ელ.ფოსტა: malkhaz.matsaberidze@tsu.ge

სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში, გამოცდა ინგლისურში B2, გასაუბრება სპეციალობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 301

ტელ.: (+995) 555 15-54-91 სალომე დუნდუა

ელ.ფოსტა: salome.dundua@tsu.ge



დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში, გამოცდა ინგლისურ ენაში (B2), გასაუბრება სპეციალობაში,

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 202

ტელ.: (+995) 595 33-33-16 ეკა აკობია

ელ.ფოსტა: eka.akobia@tsu.ge

საზოგადოებრივი გეოგრაფია

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 211

ტელ.: (+995) 599 56-40-00 გიორგი გოგსაძე

ელ.ფოსტა: giorgi.gogsadze@tsu.ge

ეგრამისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი)

სწავლების ენა: ინგლისური

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში, გამოცდა უცხო ენაში (ინგლისურიენა B2), გასაუბრება სპეციალობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 202

ტელ.: (+995) 599 64-32-23 ფიქრია ასანიშვილი.

ელ.ფოსტა: pikria.asanishvili@tsu.ge

დემოგრაფია და მოსახლეობის გეოგრაფია

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში, გასაუბრება სპეციალობაში და უცხო ენაში (B1).

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #14, თსუ IV კორპ. ოთახი 211



ტელ.: (+995) 599 54-09-59 ვაჟა ლორთქიფანიძე, 2663500 ანზორ სახვაძე

ელ.ფოსტა: vazha.lortkipanidze@tsu.ge; anzor.saxvadze@tsu.ge

კონფლიქტების ანალიზი და მართვა

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში, გასაუბრება სპეციალობაში და ინგლისურ ენაში (B1).

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. #3, თსუ, II კორპუსი, ოთახი 239/240

ტელ.: (+995) 577 43-16-17; გუგული მაღრაძე,

(+995) 599 90-61-54 რევაზ ჯორბენაძე,

ელ.ფოსტა: guguli.magradze@tsu.ge; revaz.jorbenadze@tsu.ge

ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება

სწავლების ენა: ქართული

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში და უცხო ენაში (ინგლისური B1 ან გერმანული ენა B1), გასაუბრება სპეციალობაში.

პროგრამაზე მიღება ხორციელდება ყოველ ორ წელიწადში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. 11ა, თსუ III კორპ. ოთახი 201

ტელ.: (+995) 577 52-77-82; ნოდარ ბელქანია,

ელ.ფოსტა: nodar.belkania@tsu.ge

მედიაფსიქოლოგია და კომუნიკაციები

Media psychology and communications

სწავლების ენა: ინგლისური

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში (ესე, ინგლისურ ენაზე); ინგლისურ ენაში (B2);

გასაუბრება სპეციალობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. 8, თსუ VI კორპ.

ტელ.: (+995) 577 17-11-07 მარიამ გერსამია

ელ.ფოსტა: mariam.gersamia@tsu.ge



პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაცია: პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება

Post-Soviet Transformation: Politics, Economy, Society

სწავლების ენა: ინგლისურენოვანი ქართული კომპონენტებით

შიდა გამოცდა: გამოცდა სპეციალობაში (ესსე); ინგლისურ ენაში (B2); გასაუბრება სპეციალობაში.

საკონტაქტო ინფორმაცია:

ი.ჭავჭავაძის გამზ. 8, თსუ VI კორპ.

ტელ.: (+995) 599 50-30-62 მარინა მუსხელიშვილი

ელ.ფოსტა: marina.muskhelishvili@tsu.ge

სადოქტორო პროგრამები:

სადოქტორო პროგრამების შესახებ ინფორმაცია იხილეთ შემდეგ ელექტრონულ ბმულზე:

https://www.tsu.ge/ge/faculties/social/hccla0ixc_o-h_tgp/phd_soc/

საკონტაქტო ინფორმაცია:

0179, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. N8, VI კორპუსი.

ტელ: (+995 32) 2 29 05 94 (დეკანატი);

(+995 32) 2 25 17 35 (სასწავლო დეპარტამენტი);

(+995 32) 2 22 11 01 (233) (სტუდენტთა მომსახურების ცენტრი);

ფაქსი: (+995 32) 2 29 05 94.

ვებგვერდი: <http://www.tsu.edu.ge/ge/faculties/social/news/>

<https://www.facebook.com/groups/TSU.SOCPOL/>



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- ფსიქოლოგია;
- ოკუპაციური თერაპია;
- დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- მულტილინგვური განათლება დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

საბაკალავრო პროგრამებზე მიღების პროცედურები: ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამისათვის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე

სავალდებულო საგნებია:

- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 4),
- უცხოური ენა (კოეფიციენტი 4),
- მათემატიკა/ისტორია (კოეფიციენტი 4).

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სოციალური მეცნიერებების ბაკალავრი ფსიქოლოგიაში.

2021-2022 სასწავლო წლის მისაღები კონტინგენტის რაოდენობა: 225;

საბაკალავრო პროგრამა ოკუპაციური თერაპიისთვის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე

სავალდებულო საგნებია:

- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 4);
- უცხოური ენა (კოეფიციენტი 4);
- ბიოლოგია (კოეფიციენტი 3);
- ფიზიკა/ქიმია/მათემატიკა (კოეფიციენტი 1/1/1).

(შენიშვნა: „ოკუპაციური თერაპიის“ პროგრამაზე უცხო ენად აუცილებელია მხოლოდ ინგლისური ენის ჩაბარება).

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ოკუპაციური თერაპიის ბაკალავრი.

2021-2022 სასწავლო წლის მისაღები კონტინგენტის რაოდენობა: 20;

დაწყებითი განათლების მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე სავალდებულო საგნებია:

- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 5);
- უცხოური ენა (კოეფიციენტი 2);
- მათემატიკა/ისტორია (კოეფიციენტი 5/5).



მისანიჭებელი კვალიფიკაცია: განათლების მაგისტრი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი

2021-2022 სასწავლო წლის მისაღები კონტინგენტი: 75

მულტილინგვური განათლება — დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე სავალ-დებულო საგნები:

- ქართული ენა და ლიტერატურა (კოეფიციენტი 6);
- უცხოური ენა – გერმანული, ინგლისური ან რუსული (კოეფიციენტი 3);
- მათემატიკა (კოეფიციენტი 3).

მისანიჭებელი კვალიფიკაცია:

განათლების მაგისტრი, ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებელი

2021-2022 სასწავლო წლის მისაღები კონტინგენტი: 50

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა – „მასწავლებელი“ – 60 კრედიტი (100%-იანი სახელმწიფო დაფინანსება);

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: კვალიფიკაციას არ ანიჭებს

კრედიტების რაოდენობა: 60 ECTS

სწავლების ენა: ქართული

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული საგნის გამოცდა (ქართული ენა და ლიტერატურა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 35 ადგილი (დასაფინანსებელი 27); მათემატიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 3 ადგილი; ისტორია – 10 ადგილი ; გეოგრაფია – 6 ადგილი; სამოქალაქო განათლება – 21 ადგილი (დასაფინანსებელი 15); ფიზიკა (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 1 ადგილი; ქიმია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 4 ადგილი; ბიოლოგია (საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 8 ადგილი (დასაფინანსებელი 7); ინგლისური ენა(დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 28 ადგილი; (დასაფინანსებელი 19); გერმანული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 2 ადგილი; ფრანგული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 1 ადგილი; რუსული ენა (დაწყებითი, საბაზო ან/და საშუალო საფეხური) – 6 ადგილი (დასაფინანსებელი 5);

განსაზღვრული საგნის შიდა გამოცდა – ანალიტიკური წერა

2021-2022 სასწავლო წლის მისაღები კონტინგენტი: 125 (დასაფინანსებელი 100)

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ.: (+995) 599 331218;

ელ.ფოსტა: ketevan.chkuaseli@tsu.ge

ვებგვერდი: <https://www.tsu.ge/ge/faculties/psychology/programs/rub7uclwhqwgq-fgc/>



სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება: გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრი

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

სწავლების ენა: ქართული;

საერთო სამაგისტრო გამოცდა: იმისათვის, რომ მაგისტრანტობის კანდიდატმა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მან უნდა დააგროვოს ტესტის ნაწილისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამის ქულაზე მეტი: ნაკითხულის გააზრება – 30%; ანალიტიკური წერა – 30%; ლოგიკური მსჯელობა – 30%; რაოდენობრივი მსჯელობა – 25%;

შიდა გამოცდა: სოციალურ ფსიქოლოგიაში (80); გასაუბრება ინგლისურ ენაში (20);

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 51%

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ.: (+995) 577 53-00-63.

ელ.ფოსტა: anastasia.kitiashvili@tsu.ge

ვებგვერდი: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/Applied_Soc_PSyCh.pdf

განათლების ფსიქოლოგია და კვლევა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიის მაგისტრი

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

სწავლების ენა: ქართული;

იმისათვის, რომ მაგისტრანტობის კანდიდატმა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, მან უნდა დააგროვოს ტესტის ნაწილისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შესაბამის ქულაზე მეტი: ნაკითხულის გააზრება – 30%; ანალიტიკური წერა – 30%; ლოგიკური მსჯელობა – 30%; რაოდენობრივი მსჯელობა – 25%. შიდა გამოცდა განათლების ფსიქოლოგიაში (80); გამოცდა ინგლისურ ენაში (B2 დონე) (20).

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი: 51%

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელ.: (+995) 577 53-37-53;

ელ.ფოსტა: mzia.tsereteli@tsu.ge

ვებგვერდი: https://www.tsu.ge/data/file_db/faculty_psychology/Edu_Psych_Ma.pdf



ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: ფსიქოლოგიური ანთროპოლოგიის მაგისტრი

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

სწავლების ენა: ქართული;

